



ატმისა და ნექტარინის მავნებელ-დაავადებებისა და
სარეველებისაგან დაცვა აპრილი-მაისის თვეებში
სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

2020

აპრილის დასაწყისი

ვარდისფერი კონუსის ფაზა (ყვავილობის დასაწყისი)

- შესხურება ნაცრისა და კლასტეროსპორიოზის წინააღმდეგ: ტასპა (დიფენოკონაზოლი + პროპიკონაზოლი)-0,2-0,25 კგ/ჰა, ან კობუზი (პენკონაზოლი)-0,5-1,0 კგ/ჰა +

შესხურება ფოთლის სიხუჭუჭის, მონილიოზური სიდამწვრის წინააღმდეგ: ლუნა სენსიშენ (ფლუპირამი+ ტრიფლოქსისტრობინი)-0,25-0,3 კგ/ჰა, ან მანკოზატი (მანკოცები)-2,0-3,0 კგ/ჰა +

შესხურება მავნებლების (კოქციდები, ბუგრები) წინააღმდეგ: ბი-58 ახალი (დიმეთოათი)-1,1-1,9 ლ/ჰა, ან ბიიტალი (დიმეთოათი)-2,1 ლ/ჰა, ან ნურელ დ (ქლორპირიფოსი+ციპერმეტრინი)-1,5 ლ/ჰა.

+ მიმწებებელი ტრენდ 90 (იზოდეცილის სპირტის ეტოქსილატი)-0,4 ლ/ჰა, ან სილვეტ გოლდი (ტრისილოქსან ალკოქსილატი)-0,4 ლ/ჰა.

აპრილის შუა რიცხვები

ყვავილობის დასასრული

- შესხურება ფოთლების სიხუჭუჭისა და კლასტეროსპორიოზის წინააღმდეგ: სპრინტერი (დითიანონი)-0,5-0,7 კგ/ჰა, ან სუპერ კოპერი (სპილენძის ქლორჟანგი) ან სხვა სპილენძის შემცველი პრეპარატები- 4,0-8,0 კგ/ჰა +

შესხურება სიდამპლევების და მონილიოზის წინააღმდეგ: სიგნუმი (ბოსკალიდი+პირაკლოსტრობინი)-1,0 კგ/ჰა +

შესხურება ბუგრებისა და ნაყოფჭამიების წინააღმდეგ: ბი-58 ახალი (დიმეთოათი)-1,1-1,9 ლ/ჰა, ან კონფიდორ მაქსი (იმიდაკლოპრიდი)-0,07-0,1 ლ/ჰა, ან ლანატი (მეთომილი)-1,8-2,2 კგ/ჰა.

- შესხურება სარეველების წინააღმდეგ (მრავალწლიანი და ერთწლიანი ორლებნიანი და მარცვლოვანი სარეველები (ბურჩხა, გლერტა, ძურწა, შალაფა, მხოხავი ჭანგა, ნარი, ბირკა, ძიძო, ღიჭა, აბრეშუმა) : კლინ-აპი (გლიფოსატი იზოპროპილის მარილი 360 გ/ლ)-3-4,5 ლ/ჰა, ან კლინი (გლიფოსატის იზოპროპილამინის მარილი)-2-3 ლ/ჰა, ან ზასტა (ამონიუმის გლიფოსინატი, 150 გ/ლ) – 3-5 ლ/ჰა, ან კაილეო (2,4 დ მჟავა 160 გ/ლ+გლიფოსატი 240 გ/ლ)-3-5 ლ/ჰა, ან დიქსი ექსტრა (გლიფოსატი მონოამონიუმი)- 2-4 კგ/ჰა

აპრილის მესამე დეკადა

ნაყოფის გამონასკვა

შესხურება ნაცრისა და კლასტეროსპორიოზის წინააღმდეგ: ტასპა (დიფენოკონაზოლი + პროპიკონაზოლი)-0,2-0,25 კგ/ჰა, ან კობუზი (პენკონაზოლი)-0,5-1,0 კგ/ჰა +

შესხურება ბუგრებისა და აღმოსავლური ნაყოფჭამიას წინააღმდეგ: დეცის პროფი (250 გ/ლ) (დელტამეტრინი)-0,05-0,1 კგ/ჰა, ან იმიდამექსი (იმიდაკლოპრიდი)-0,07-0,1 კგ/ჰა, ან ალპგორი (დიმეთოათი)-2,5 ლ/ჰა +

ფოთლოვანი გამოკვება ორგანული სასუქებით დაავადებებისადმი გამძლეობის ამაღლების მიზნით:

ორგანიკა (ორგანულ-ბაქტერიული სასუქი)-10 ლ/ჰა, ან აგროვიტა (ჰუმინურ-ორგანული სასუქი)-5 ლ/ჰა, ან ჯეოჰუმატი (ორგანულ-მინერალური სასუქი)-2,5 ლ/ჰა

მაისის შუა რიცხვები

შესხურება ფოთლის სიხუჭუჭის, მონილიოზის და კლასტეროსპორიოზის წინააღმდეგ: დელანი (დითიანონი)-0,5-0,7 კგ/ჰა, ან ან სუპერ კოპერი (სპილენძის ქლორჟანგი) ან სხვა სპილენძის შემცველი პრეპარატები- 4,0-8,0 კგ/ჰა +

შესხურება ბუგრების, ნაყოფჭამიების, ფარიანების წინააღმდეგ: დეცის პროფი (დელტამეტრინი) - 0,05-0,1 ლ/ჰა, ან ნივათიონი (მალათიონი)-1,2-1,5 ლ/ჰა, ან დინგო (დიმეთოათი)-1,1-1,9 ლ/ჰა +

შესხურება ტკიპების წინააღმდეგ: ენვიდორი (სპიროდიკლოფენი)- 0,4-0,6 ჰა, ან ორტუსი (ფენპიროქსიმატი)-0,5-0,6 ლ/ჰა, ან ობერონ რაპიდი (სპირომესიფენი+აზამექტინი)-0,6-0,8 ლ/ჰა, ან ზუმი (ეტოქსაზოლი)-0,3-0,5 ლ/ჰა.

შენიშვნა:

რეკომენდაციაში მოცემული პესტიციდები რეგისტრირებულია საქართველოში. შესაძლებელია მისი კორექტირება, ასევე პრეპარატების ჩანაცვლება სპეციალისტებთან შეთანხმებით კლიმატური პირობების, ზონალობის, პესტიციდების ასორტიმენტისა და გამოყენების რეგლამენტების გათვალისწინებით.

სამუშაო ხსნარის მომზადება:

ჩატარებული წამლობის ეფექტურობისათვის საჭიროა სამუშაო ხსნარის კონცენტრაციის ზუსტი განსაზღვრა: სამუშაო ხსნარის კონცენტრაცია არის პრეპარატის ხარჯვის ნორმა (1 ჰა-ზე) გამრავლებული 100-ზე და გაყოფილი სამუშაო ხსნარის ხარჯვის ნორმაზე (1 ჰა-ზე).

